

უკანიშარები

თარგმანი, წინათქმა და განმარტებანი
ლერი ალიმონაკისა



გამომცემობა
068090980



Magnum opus

საგამომცემლო პროექტის ავტორი
ზონად კვარაცხელია

უკანონაში

უპირატესობა :

translated by Leri Alimonaki

რედაქტორი
მანანა რძილავაძე

დამკაბადონებელი
ლიკა სხირტლაძე

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-31-410-0

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2021

სიბრძნესთან
ვეხმოგთხმით



სიბაძნესთან ვეხმორჩხილი

როგორც ლოტოსი ინდოეთისა, რელიგიისა და სულის სიმბოლო, ჭაობის სიწყვდიადიდან ამოზრდილი, ყვავილს გაშლის სივრცეში, წყლისა და ლაფის მიუცხებელი, შეუმნიკვლელი, და შეერთვის მზის სინათლეს, ასევე უპანიშადებიც, ძველ ინდოეთში ათასწლეულთა სიწყვდიადიდან აღმოცენებული, დასაბამი სულიერი სიბრძნისა, ათას ქარიშხლებს გამოტანჯული, წმინდა, უდიადესი აზრის მიმნიჭებელი ფილოსოფიისა და მითოლოგიის, რელიგიისა და ხელოვნების, ენისა და საბუნებისმეტყველო საგანთა საჩხრეკად, მიახლებია მზეს-უმაღლეს ჭეშმარიტებას, რომლის გონმჭვრეტელური თხზულებანიც – პირველი არქაული ქმნილებანი, პოეტური და მისტიური ძალით აღბეჭდილნი, დასაბამიდანვე დაუცხრომლად მიელტვიან დაამკვიდროს კაცთა შორის ჭეშმარიტი სათნოება და ღვთის-მოსაობა, აზიარონ მათი სულები სამყაროულ, უზენაესს არსს.

მოჰენჯო-დარო და ჰარაპა – მკვიდრად ნაგები ქალაქი ინდოეთისა, აღორძინებული და მოზეიმე, მსოფლიო გზაგასაყარი ყოფილა ოდესლაც უძველესი სამყაროსი. მეოცე საუკუნის დასაწყისში ინდოელი სწავლულები აქ აღმოაჩენენ ნანგრევთ უხსოვარი წარსულისას, დათარიღებულს მეოთხე-მესამე ათასწლეულებით (ქრისტემდე), და ივარაუდებენ, რომ პირველად აქ – ინდოეთის მიწაზე შეყრიან ერთმანეთს გარდასული ქამის

რელიგიური თუ მითოლოგიური მოძღვრებანი, უდიადესი ქმნილებანი ხელოვნებისა. ჯერაც არ უწყიან, რაგვარ მეტყველებას ისმენდნენ სასახლენი მოპენჯო-დაროსი და ჰარაპასი, რად დაეცნენ მზისდარი ქალაქნი. ნაშთი ძველი დიდებისა თვლემს იდუმალების ნახევარჩრდილებში. ერთი რამ ცხადია: კულტურა ამ ქვეყნისა ისევე ძველია, ვით კულტურა ძველი ეგვიპტისა და შუამდინარეთისა. საუკუნის წინათ სწავლულნი დაადგენენ ძველინდური ქალაქ-სახელმწიფოების მსგავსებას შუამდინარეთის უძველეს ქალაქებთან. გამოსახულებანი მოპენჯო-დაროს საბეჭდავებზე ეხმიანება გილგამეშისა და ენქიდუს ბეჭედავგაროზებზე აღბეჭდილ გამოსახულებებს. გმირნი მოპენჯო-დაროსი და მოლაშქრე შუმერნი ებრძვიან მტაცებელ მხეცებს: ჰირველზე გამოსახულია ინდური ვეფხი, მეორეზე – ლომი ერაყის ტრამალთა. ჰინდის ხეობაში არქეოლოგები მიაგნებენ მამაკაცის გამოსახულებიან ბეჭედს, თვითჭვრეტაში დანთქმულს და შეადარებენ შივას მითოლოგიურ იერსახეს – არიელთა ერთ-ერთ მთავარ ღვთაებას, სწავლულთა ვარაუდით, დრავიდული, – ინდოეთის უძველეს მკვიდრთა, – წარმოშობისა რომ უნდა იყოს, რომელთა მიერაც შექმნილა ინდოეთის უძველესი საქალაქო კულტურა და რომელთა ღვთაებანი და დემონნი მოგვიანო ხანაში არიელთა პანთეონში გადასახლდებიან. მეცნიერებაში ყოფილა ცდა, ჰინდის ველის კულტურა არიელებთან დაეკავშირებინათ. მაგრამ მოპენჯო-დაროსა და ჰარაპას საქალაქო კულტურა მკვეთრად განსხვავდება ვედებში აღნერილი სასოფლო კულტურისაგან: არიელნი იყენებენ ცხენს, ჰინდის ველის მკვიდრნი არ იცნობენ მას. არიელნი თაყვანს სცემენ ძროხას, მეორენი – ხარს. დრავიდნი თაყვანს სცემენ დედა-ქალღმერთს, არიან კერპთთაყვანისმცემელნი, ხოლო არიელთა პანთეონი უმთავრესად მამრი ღვთაებებითაა დასახლებული. დაახლოებით მეორე ათასწლეულის შუა ხანე-

ბისთვის (ქრისტემდე), არიელთა შემოსევის შედეგად, ჰინდის ველის კულტურა დაემხობა.

მატიანის თანახმად, ინდოეთში არიელთა მოსვლამდე ორი ხალხი მკვიდრობს: შავკანიანი ნეგროიდნი – მოჩვენებათა და გველთა თაყვანისმცემელნი, ღრმად მორწმუნენი გრძეულებათა და ჯადოსნობისა, და დრავიდნი – უხსოვარი დროიდანვე რომ სახლობენ ინდოეთში. თუმცა მატიანი იმასაც გვაუწყებს, რომ დრავიდნი არ უნდა ყოფილიყვნენ ამ ქვეყნის მკვიდრნი, და რომ ისინი თითქოს ავსტრალიიდან უნდა მოსულიყვნენ, და რომ აგრეთვე შუმერთა ნათესავნიც ყოფილან. ვედური თხზულებანი გვამცნობენ, რომ დრავიდნი ქალაქთა და ციხე-სიმაგრეთა მაშენებელნი არიან, არიან ზღვაოსანნი და ხურონი, სოფლის მეურნენი, ლითონთა მომპოვებელნი და დამმუშავებელნი, ხელოვნებისა და რელიგიის მიმდევარნი, თაყვანისმცემელნი დედა-ქალღმერთისა და დემონთა, რომელთა თაყვანისცემის ნიშნად ცხოველებთან ერთად ადამიანსაც სწირავენ მსხვერპლად.

დაახლოებით ხუთიათასი წლის წინათ თეთრკანიან ადამიანთა დიდი ჯგუფი, ცხვირსწორნი, თმალია და თვალლიანნი, ევროპის ჩრდილო-დასავლეთიდან შეაღწევს ირანში და იქ დაემკვიდრება, ხოლო ნანილი მდინარე ჰინდის ველზეც შედის. მათ არიელები უწოდეს თავიანთ თავს, ხოლო ნეგროიდებსა და დრავიდებს – არაარიელები („არია“ კეთილშობილს, ერთგულს ნიშნავს სანსკრიტულად, ერთიანი ეთნოსის მკვიდრს, მათ საპირისპიროს არიელებმა უწოდეს „დასიუ“ – მტერი, ანუ უძველესი მკვიდრნი ინდოეთისა – დრავიდნი). აქედან მოკიდებული, არიელნი საუკუნეების განმავლობაში სახლდებიან და მკვიდრდებიან ინდოეთის მიწაზე. პირველხანად იპყრობენ ინდოეთის ჩრდილოეთ მხარეს, გვიან ვედურ ხანაში კი აღმოსავლეთსა და სამხრეთშიც იჭრებიან. თუმც არიელნი დაბალ

საფეხურზე დგანან, ისინი ექვემაღლებიან და დასცინიან შავკანიან და „უცხვირო“ მკვიდრთ, იმონებენ და მშობლიური ადგილებიდან მთებსა და ტყეებში დევნიან. ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდება ბრძოლა არიელებსა და არაარიელებს შორის, არიელნი მთლიანად ანადგურებენ ნეგრონიდებს და, დრავიდებთან დაზავებით, ინდოეთში არიელთა ბატონობა მყარდება. პენჯაბიდან შემოსული პირველი არიელები განგის ხეობაში აარსებენ ანგას, მაგადჰას, ვიდეჰის, კაშის, კოშალას ქალაქ-სახელმწიფოებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ინდოეთში კვლავ შეიჭრება და-სავლეთიდან არიელთა მეორე დიდი ჯგუფი, პინდისა და პენჯაბის სანაპიროებზე დასახლდებიან და მოგვიანებით განგისა და იუმანის სათავეებთან დაარსებენ რამდენიმე უძლიერეს სახელმწიფოს. ესენი თავიანთი განვითარებით გაცილებით მაღლა მდგარან წინა არიელებზე. პირველხანად მომთაბარე ცხოვრებას მისდევენ, მესაქონლეობას, შემდგომ, თანდათანობით, მიწათმოქმედებაზედაც გადავლენ, რის გამოც მათ იმუამინდელ კულტურას ხშირად „სასოფლო კულტურასაც“ უწოდებენ. უმოკლეს ხანში არიელები, მონათა შრომით დააგროვებენ უზარმაზარ სიმდიდრეს და შექმნიან თვითმყოფად სამეურნეო და სულიერ-რელიგიურ კულტურას. გადმოცემის თანახმად, არიელნი არიან მარად ჭაბუკი, მხნენი, სიცოცხლის მოყვარული, რომელთათვისაც ჯერ კიდევ უცხოა მისტიციზმი, ასკეტიზმი, პესიმიზმი, და უკვე ცხადად იკვეთება მათი ნიჭი მითოლოგიური და რელიგიური აზროვნებისა, ჭეშმარიტი აღმსარებლობისა, რისი ძალითაც მარტივ რელიგიას, პირველსამშობლოდან გადმოტანილს, განავითარებენ და შექმნიან ურთულეს ფილოსოფიურ და თეოლოგიურ მოძღვრებებს.

თუმც არიელნი გვაროვნული წყობილების პირველ საფეხურზე ჯერ არ იცნობენ საზოგადოების დანაწილებას ვარ-

ნებად, მაგრამ იმთავითვე ბრამინ-ქურუმნი წინამძღვრობენ რელიგიური მრნამსის შთანერგვასა და სააღმსარებლო ცნო-ბიერების აღორძინებას. ხოლო მას შემდგომ, რაც პირველყოფილი-თემური წყობილების უკანასკნელ საფეხურზე თანდა-თანობით აღმოცენებას იწყებს ვარნები, დასაბამიდანვე ინდოე-თის ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშნის მაუწყებელი, მის პირველ საფეხურზე აღმოჩნდებიან ბრამინნი, რომელთაც ვედური თხზულებანი ღმერთებსაც კი უწოდებენ. ბრამინნი, ღვთაებრივი ნიჭიერებით ხელდასმულნი, აყალიბებენ მითო-ლოგიას, წრფელი გულით განამტკიცებენ რწმენას, ქმნიან თუ ადგენენ ფილოსოფიურ და რელიგიურ მოძღვრებებს, თხზავენ ჰიმნებს, აღვლენილს ღმერთებისადმი, სათუთად რომ გადაე-ცემოდა გვარიდან გვარს, თაობიდან თაობას, ფლობენ კულ-ტებს, რომელთა წყალობითაც უდიდესი ზეგავლენა ჰქონდათ ხალხზე. მეორე საფეხურზე დგანან კშატრიანნი – მეომარნი და მმართველნი ანუ ხელმწიფენი. საგულისხმოა მითოლოგიური ღეგენდა: ბრაჟმამ, პირველხანად მარტოდმყოფელმა და გამრავლების მოსურნემ, შვა „კიდევ უკეთესი სახე“ – კშატრია ანუ ისინი, რანიც კშატრიანნი არიან ღმერთთა შორის: ინდრა, ვარუნა, სომა. ამიტომაც, უპანიშადების თანახმად, „არვინაა უმაღლესი კშატრიასი“. ბრამინ გაუტამას რომ ორი გზის – „ღმერთთა გზისა“ და „წინაპართა გზის“ მოძღვრებას აზიარებს, უხსოვარ წარსულში კშატრიათაგან აღორძინებულს, კშატრია პრავაპანა ჯაივალი იტყვის: „აქამომდე ცოდნა იგი არ მიახ-ლებია არცერთ ბრამინს“. თუმცალა, კშატრიას მუდამ ახსოვს, ბრამინი რომ წყაროა მისი, საფუძველი, საბოლოო თავშესა-ფარი, და თაყვანი უნდა სცეს მას. მესამე საფეხურზე არიან ვაიშნი – თავისუფალი მშრომელი ხალხი, მეჯოგენი და მინათ-მოქმედნი. ბრაჟმა, გამრავლებისას, თანამიმდევრულად შობს ვაიშიას გაპიროვნებას – ვიშთ: ვასუს, რუდრებსა და ადიტიებს.

მეოთხე ვარნაა შუდრანი, დამარცხებულ ტომთაგან და უთვი-სტომო ადამიანთაგან შემდგარნი, რის სიმბოლურ გაპიროვნე-ბასაც – პუშანს, ანუ მიწას, ყოველივე არსის მსაზრდოებელს, შობს ბრაჟმა. პირველი სამი ვარნის წარმომადგენელნი ყრმო-ბიდანვე აღასრულებენ ინიციაციის, ანუ ზიარების საგანგებო წეს-მსახურებას, რისი ძალითაც მათ „ორჯერ დაბადებულთ“ უწოდებენ, განსხვავებით შუდრებისაგან, ანუ „ერთხელ და-ბადებულთაგან“. პირველ სამ ვარნას საკუთარი ღვთაებანიც ჰყავს: ბრამით – ბრიჟაპატი, კშატრიათ – ინდრა, ვაიშ्म – ვასუ. ძველ ინდოელთა მითოლოგიური წარმოდგენით, არსთა განმრიგემ, პრაჯაპატიმ, ანუ იგივე ბრაჟმამ, საკუთარი პირი-საგან შვა ბრამინნი, მკერდისაგან შვა კშატრიანნი, ბარძაყე-ბისაგან შვა ვაიშ्मი, ხოლო ტერფებისაგან შვა შუდრანი, და ბოლოს, „ყოვლისა უმაღლესი“: დჰარმა (კანონი) – მეუფე მეუ-ფეთა, რისი უმაღლესიც არაფერია ცისქვეშეთში, და რასაც მორჩილებს ყოველი ვარნა, ყოველი კაცი, და მას მორჩილებს – ყოველი ღმერთი.

არიელნი და ირანელნი საერთო წარმომავლობისანი არიან, დასახლების საერთო ადგილებიდან ირანსა და ინდოეთში მო-სულნი ზარატუსტრას ხანაში, რის გამოც მრავალი რამ აქვთ საერთო მათ რელიგიურ-კულტურულ დანაშრევებს. პირველ-სამშობლოდან ინდოარიელებმა მოიტანეს რწმენა, და მრავალი რამ მექვიდრეობითაც შეიძინეს არიელებამდელ მკვიდრთაგან, შეიძინეს და შექმნეს სრულიად ახალი მითოლოგიური და რე-ლიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებანი. და სწორედ ამ ხანა-ში იწყებს აღმოცენებას პირველი ძველინდური საკაცობრიო თხზულებანი – ვედები.

ბევრი ძველი ხალხის რელიგია აღიხოცა პირისაგან მიწი-სა, ანდა სრულიად უმწეო კვალი დაუტოვებია შთამომავალ-

თა ხსოვნაში. ხოლო თანამედროვე ინდოელს ისევ ის ღმერთი სწამს, სამი ათასი წლის წინათ მის წინაპარს რომ სწამდა, ისევ იმ თხზულებებს ადიდებს, მისი შორეული წინაპარი რომ ადიდებდა. ვედები, ანუ „ცოდნა“, სულიერ, საღმრთო ცოდნას რომ ნიშნავს, უძველესი პიბლიაა პრამინთა, მარადმყოფელი და წარუვალი ღვთაებრივი გამოცხადება, რისი შექმნის ხანაც მეორე ათასწლეულსა და პირველი ათასწლეულის (ქრისტემდე) შუა ხანებს მოიცავს, და იგი დღესაც ისევე აფიქრებს და აღლვებს ინდოელს, როგორც მრავალი საუკუნის წინათ. ვედები, შრუტებს, ანუ „მოსმენილს“ რომ უწოდებენ, განცხადებულია საღმრთო სიბრძნითა და უზენაესი ზემთაგონების ძალით ძველ წინასწარმეტყველთაგან – რიშთაგან. რადგანაც ინდოეთში დამწერლობა ძველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნიდან იწყება, ვედები ჩაწერილ იქნა გვიან, სანსკრიტზე – ინდოირანული ენის უძველეს სახეობაზე, ხოლო მანამდე ეს უზარმაზარი თხზულებანი ზეპირად გადაცემოდა თაობიდან თაობას. ცოდნის ზეპირად გადაცემას ეფუძნებოდა მთელი პრამინული ნიჭიერება, ზეპირმეტყველება იყო ძველი ინდური ფილოსოფიური და რელიგიური მოძღვრებების სიბრძნის დაუფლების ერთადერთი გზა. ვედების შემადგენლობაში შედიან თხზულებანი ლექსად და პროზად, ჰიმნები, აღვლენილი ღმერთებისადმი, ფოლკლორული სიმღერები, საგმირო ლეგენდები, საყოფაცხოვრებო იგავები, დიდაქტიკური დამოძღვრებანი, ფილოსოფიური და მითოლოგიური განმარტებანი, სადაც ასახულია ღვთაებათა პირველი გამოცხადებანი, პირველი ვარაუდები, პირველი აღმოჩენები, – რომ ამ ხილული და წარმავალი, ყოფიერი სამყაროს მიღმა უნდა არსებობდეს რაღაც უხილავი და წარუვალი, ღვთაებრივი სამყარო.

ველები

	რიგი	სამაცელა	ისჯურველა	აზრისაცვალა
სამპიტები	ჰიმნები	საგალოობლები	საქართველო ფორმულები შპ. კატეპასა, კაპიშტალა, მაიტრაიანა, ტაიტირია	თეთრი: ვაჯასან-ეია-სამშიზა
ბრაჟმანები	აიტარება კაუშიტაკი	პანრავინშა ჯამინია შალვინშა	კატეპასალტა-ორი რე-დაქტირი	შატაპატა-ორი რე-დაქტირ
არანისკები	აიტარება	არანისკა-სამპიტა უპარიშალა-ბრაჟმანა	კატეპა ტაიტირია	შატაპატაჭა
უპანიშალე-ბი	აიტარება კაუშიტაკი	ჩპანდოვას ქენა	კატეპა მაიტრი ტაიტირია შვეტაშვატარა მაპანარაიანა	მუნდაკა მანდუკა პრაშნა

ვედები აერთიანებს ოთხ მთავარ წიგნს: რიგვედას, სამავე-დას, იაჯურვედასა და ატჰარვავედას. მათში შემავალ ჰიმნებს, შელოცვებსა და სამსხვერპლო ფორმულებს ენოდებათ სამ-ჰიტები. სამჰიტებს მოსდევს ბრაჟმანები, რანიც სამჰიტების სარიტუალო, მითოლოგიური და სხვა სახის განმარტებანია. ბრაჟმანთა შემდგომ არანიაკებია („ტყის წიგნები“), თხზულებანი იმათვის, ვინც მიატოვა სახლი და განდეგილად გაიხვენა ტყეში. დაბოლოს, უპანიშადები – დამაგვირგვინებელი თხზულებანი ვედებისა, რისთვისაც მას ვედანტა უწოდეს („დასას-რული ვედებისა“). თითოეულ ვედას თავისი სამჰიტა, თავისი ბრაჟმანა, თავისი არანიაკა, თავისი უპანიშადა შეესაბამება (იხილეთ ცხრილი).

რიგვედა, ოთხ ვედას შორის უმთავრესი, პირველი ძეგლი ინდური თხზულებებისა, რელიგიური ლირიკის უმაღლესი გან-სახოვნება, დიადი საფეხურია კაცობრიობის სულიერი განვი-თარებისა. იგი არიელთა გარემოში აღმოცენდა. ინდოეთში მათი განსახლების ჟამს, რამდენიმე საუკუნე რომ გრძელდებო-და, არიელნი აყალიბებენ გვაროვნულ წყობილებას, და სწორედ ეს ხანა პოულობს თავის ანარეკლს ამ უდიადეს თხზულებაში. რიგვედა უმთავრესად შედგება კოსმოგონიური ჰიმნებისაგან, აღვლენილთ ძველინდური პანთეონის ღმერთებისადმი. ხოლო მისი ფილოსოფიური ჰიმნები განიხილავენ ყოფიერების წარ-მოშობის საკითხებს, ღმერთების არსა და შესაქმეს პირველ-მიზეზებსა და მიზნებს. ყველა ამ ჰიმნს აერთიანებს საერთო საკულტო, მაგიური დანიშნულება. რიგვედაში პოულობენ აგრეთვე ეპიურ, ლირიულსა და დრამატულ მისტერიებსაც. აქ წარმოდგენილია უძველესი მითოლოგია, დაწყებული ბუ-ნებისეული მოვლენების გაპიროვნებული წარმოსახვით და დამთავრებული ვედრებით სამყაროს უზენაესი მეუფისადმი, განმასახიერებელს კოსმიური წესრიგის არსისა.

სამავედას ჰიმნები, უმცირესი ნაწილის გარდა, რიგვედა-დან გადმოსულია, ისინი საგალობოდ არიან განკუთვნილნი მსხვერპლშენირვათა და წეს-მსახურებათა აღსრულების უამს. უმთავრესი ნიშანი ამ ჰიმნთა, აღმოცენებული უხსოვარ წარ-სულში, მელოდიურობაა, მფლობელი მაგიური ძალისა.

იაჯურვედა, თეთრ და შავ იაჯურვედად განყოფილი, კრე-ბულია იაჯუსთა, მაგიურ ღაღადებათა და შელოცვათა, აღვ-შენილი მსხვერპლშენირვის უამს. თეთრი იაჯურვედა შეიცავს საწესჩვეულებო ქადაგებებსა და შელოცვებს, შავი იაჯურვე-და ყოველივე ზემოთქმულსაც და სხვადასხვა სახის განმარ-ტებებსაც. იაჯურვედაში გადმოცემულია ძველი ბრაჟმანული მოძღვრების ურთულესი საწესჩვეულებო განჩინებანი, სადაც ყოველ წვრილმანსაც კი უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება, და სადაც ჭეშმარიტი რელიგიური სული მიჩქმალუ-ლია, გამორიცხულია თაყვანისცემის რელიგიური გრძნობა კერპებისადმი, ცოდვისა და მონანიების შეგნება, და სადაც ქურუმნი ძირითადად გარეგნულ წესთა დაცვით არიან გატა-ცებულნი. იაჯურვედას მოძღვრების არსი საიდუმლოდ რჩება ყველა იმათვის, ვინც არ განეკუთვნება ქურუმთა ვარნას და ვისაც არ ძალუდ ეზიაროს ამ ცოდნას. ქურუმთა ძლიერება ეფუძნება იმჟამინდელ საქურუმო მოძღვრებებს, და იაჯურ-ვედაც იმ ხანის ამსახველია, ბრამინთა ზეგავლენა ინდოეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფრიად დიდი რომ იყო.

ატჰარვავედა მხატვრული ღირსებებით, რიგვედას შემ-დეგ, ყველაზე გამორჩეულია. მისი ადრინდელი სახელწოდება – ატჲარვანგირასნი, ატჲარვანსა და ანგირას აღნიშნავს, ორ საქურუმო გვარს, ზოგადად ქურუმს, ანუ საცეცხლო კულ-ტის ქურუმს. მოგვიანებით ატჲარვანი და ანგირასი იქცნენ მაგიური შელოცვებისა და მისნობის აღმნიშვნელ ცნებებად, რომელთა შორისაც თანაკავშირის მიუხედავად, აზრობრივი განსხვავებაც განმტკიცდა: ატჲარვანი აღნიშნავს საღმრთო

გრძნებებს, ლოცვა-კურთხევას, ხოლო ანგირასი – მისწობას, ჯადოსნურ გრძნებებს, წყევლას. პირველი განეკუთვნება კე-თილმყოფელ მაგიას, ხოლო მეორე – მტრულ მაგიას. ატჰარ-ვავედამ გამოავლინა უძველესი ხანის ხალხური მსოფლმხედ-ველობა, რწმენა და მითოლოგია როგორც არიელებამდელი ხალხებისა, ასევე პირველი არიელების რელიგიური მისწრა-ფებებიც. მისი რელიგია – რელიგიაა პირველი კაცისა, ვი-საც სამყარო წარმოუდგენია როგორც უნივერსული კაცი სულებით დასახლებული სამყოფელი. და როცა ეს კაცი ღრმად გაიმეცნებს თავის უძლურებას ბუნების ძალთა წინაშე, საწუთაროს წამიერებას, სიკვდილის გარდუვალობას, ყოველივე ამის მიზეზებს სულთა შეჭირვებაში ექებს. ამიტომაც, სასტიკი ძალების დასაწყნარებლად, იგი მოუხმობს შელოცვებსა და მი-სტერიებს, მიმართვს სისხლიან მხვერპლმენირვას.

ვედების თანამიმდევრობაში სამჰიტების შემდეგ (ანუ იგი-ვე რიგვედას ჰიმნები და საგალობლები) მომდევნო, მეორე ადგილზეა ბრაჟმანები, დამაკავშირებელი რგოლი ოთხი ვე-დური წიგნისა და ვედური თხზულებების მომდევნო სახეებისა – არანიაკებისა და უპანიშადებისა. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში (ქრისტემდე) ენა ვედური ჰიმნებისა – ვე-დური სანსკრიტი მკვეთრად განსხვავდება ჩრდილო ინდოეთის ტომთა დიალექტისაგან და მსმენელთ უკვე აღარ ესმით მათი ძირითადი აზრი. ყოველივე ამან გამოიწვია საღმრთო წიგნე-ბის – რიგვედას, სამავედას, იაჯურვედასა და ატჲარვავედას საგანმმარტებლო თხზულებათა შექმნა, რანიც შემდგომში სრულიად დამოუკიდებელ სახეს იძენენ. ერთ-ერთ ასეთ სა-განმმარტებლო თხზულებებს ეწოდათ ბრაჟმანები, საწესმსა-ხურეო დამოძღვრათაგან ანუ მანტრებისაგან შემდგარნი. გან-მმარტებელნი ვედების წეს-ჩვეულებათა ეზოთერული ბუნე-ბისა, მათი წარმომავლობისა, ცალკეული მსხვერპლმენირვის აზრისა და დანიშნულებისა, მიაწერენ ღმერთთა უზენაეს ძალას